

## ეტყულები (ქართული პოსტსაბჭოთა მოდი შესახებ)

### 2018 - ქართული მოდის პერიპეტიები

მოდის ფენომენის პრობლემა ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში, უდავოდ, უმნიშვნელოვანესია. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი დეფიციტი და კონკურენციის არარსებობა ხელს უშლიდა ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის როგორც სოციალური მოვლენის წარმოქმნასა და განვითარებას. მოდის ინდუსტრიის სისტემა შენაცვლებული იყო ტანსაცმლის ინდუსტრიის სისტემით, რადგან 20-ე საუკუნის საქართველოში მოდის არსებობა, როგორც მოდური ობიექტების მონაცვლეობის უწყვეტი პროცესი, წარმოუდგენელი იყო. მაგრამ, სხვა სურათია პოსტსაბჭოთა საქართველოში - მსოფლიო ცივილიზაციის ღია საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად, ჩვენს ცხოვრებაში მკვიდრდება დასავლური სტერეოტიპები და ქცევის სტილი. ამასთან, შეიმჩნევა მძაფრი ინტერესი კულტურის ისეთი მოვლენისადმი, როგორიცაა მოდა ტანსაცმელში - ყველაფერია შესაძლებელი და ხელმისაწვდომი, ყველაფერს თავისი ფასი აქვს. მოდური ბუტიკები და სალონები, გამოფენები და დეფილემები, სამოდელიო სააგენტოები, მოდური ჟურნალები და ბლოგები, სტატიები მოდაზე მასმედიაში, მოდური პროდუქციის აქტიური რეკლამა, მოდის დიზაინერების პოპულარობა და „მოდელობის“ მსურველ გოგონათა მრავალრიცხოვანი არმია - ეს გახლავთ მოდური სამყაროს დღევანდელი რეალობა.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის ჯერ კიდევ რთულია განსაზღვრო ქართული მოდის მდგომარეობა საერთაშორისო კრიტერიუმების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მოდის სამყაროში ყველაფერი იმ სქემით მიმდინარეობს, რომელიც, მაგალითად, ფრანგულმა მოდამ უფრო გამარტივებულ ვარიანტში ას წელზე მეტი წლის წინ გაიარა. ხშირად მითქვამს, და ახლაც გავიმეორებ, - უმთავრესია, მაინც, სახელმწიფო გამოკვეთილი სტრატეგიის ჩამოყალიბება და ფინანსური მხარდაჭერა. მითუმეტეს, რომ, ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით, Fashion-ინდუსტრიის განვითარება ძალზე მომგებიანია სახელმწიფოსათვის. დღეისათვის კი, ქართული მოდის დამახასიათებელი ნიშანია - ტანსაცმლის ინდუსტრიის არარსებობა.

მიუხედავად ამისა, მოდის სამყაროს არა ერთი მნიშვნელოვანი პერსონის აზრით, ქართულ მოდას ბრწყინვალე მომავალი აქვს. ქართული მოდის განვითარებასა და დამკვიდრების შესაძლებლობებს გარკვეული წინაპირობები განსაზღვრავენ: ღიაობა

სხვადასხვა ზემოქმედებების მიმართ, კლიმატურ და რეგიონალურ თავისებურებებთან შესატყვისობა, მრავალეროვნული სახელმწიფოს ტრადიციების გათვალისწინება, გამოცდილების გადამუშავების შემოქმედებითი ხასიათი... . უფრო კონკრეტული რომ ვიყო - კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა დიზაინერთა სიმრავლე; არაერთი სხვადასხვა ტიპის ჩვენებები და კონკურსები, რომლებიც თანდათან უფრო და უფრო დიდ რეზონანს იძენენ საერთაშორისო სარბიელზე , ხელს უწყობენ ქართული მოდის დიზაინის წარმატებულ განვითარებას, ახალი სახელების წარმოჩენას, დიზაინერთა შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას და პროფესიულ ზრდას. ჩვენ გვყავს საკმაოდ ნიჭიერი დიზაინერები უკვე აღიარებულნი როგორც ქართული საზოგადოებაში, ასევე საზღვრებს გარეთ, სადაც შექმნეს საკუთარი წარმატებული ბრენდი და მათ საავტორო ტანსაცმელს ირგებენ საერთაშორისო არენაზე აღიარებული ცნობადი სახეები... ეს ყოველივე ნიშნავს, რომ ქართული მოდის შესახებ უკვე ლაპარაკობენ ! აქ აუცილებლად უნდა ითქვას სოფო ჭყონიას ფასდაუდებელ როლზე, რომელიც უკვე წლებია ემსახურება ქართული მოდის პოპულარიზაციას საერთაშორისო სივრცეში.

რა თქმა უნდა, საქართველოში მოდის განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია არსებული ახალი იდეების სიუხვე, გამოუყენებელი ისტორიული ბაზა, მრავალწახნაგოვანი ქართული კულტურა... მაგრამ, არსებობს სირთულეებიც, ზოგჯერ გადაულახავიც. მათგან, უთუოდ, ყველაზე მტკივნეულია პროფესიონალური ბაზის უქონლობა. მსუბუქი მრეწველობა, რომელიც 20-ე საუკუნის საქართველოში ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლებოდა, აღარ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა - მოდური ბიზნესის განვითარებისათვის სახსრების მოძიება და მოზიდვა. მოდის ბიზნესში რომ სტარტი აიღო, ორიგინალური იდეების გარდა გარკვეული სასტარტო კაპიტალიც არის საჭირო. სრული კოლექციის წარსადგენად დიზაინერს დიდი რაოდენობის თანხა სჭირდება ჩასადებად: სამუშაო მასალის შესყიდვა, ტექნიკური შემსრულებლების შრომის ანაზღაურება, სამოდელი სააგენტოებთან თანამშრომლობა .... და ბევრი სხვა გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ხარჯები. სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე კი ამ პრობლემის მოგვარება არარეალურია. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ცვლილებების გატარება.... მიუხედავად არსებული სირთულეებისა, აშკარად გამოიკვეთა მოდის ინდუსტრიის საწყისები. დღეს უკვე გამოჩნდა ადგილობრივი და უცხოელ მომხმარებელთა ახალი კატეგორია საკმარისი შესაძლებლობებითა და კარგი გემოვნებით, უნარით შეათვასოს ნაკეთობების სტილი და ხარისხი. ეს ყოველივე ქართული მოდის ბრწყინვალე მომავალზე მეტყველებს.